# გუშინ მუშაობა დაამთავრა სკკპ XXIII ყრილობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 69 (3046) 1966 წ. 9 აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## საინფორმაციო ცნობა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1966 წლის 8 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით: პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ამხანაგები: ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი.

პლენუმმა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად; სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულნი არიან ამხანაგები: ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ა. ნ. შელეპინი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი ა. ი. პელშე.

## სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

1966 წლის 8 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხანაგი გ. ფ. სიზოვი.

## საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

8 აპრილს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. გ. ეგორიჩევის საინფორმაციო მოხსენება პარტიის ცენტრალურ ორგანოთა არჩევნების შედეგების შესახებ.

ყრილობის დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები.

შესვენების შემდეგ 12 საათზე გაიხსნა ყრილობის დასკვნითი სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ყრილობას მიესალმა ისრაელის კომუნისტთა დელეგაცია სკკპ XXIII ყრილობაზე. ყრილობას აგრეთვე მიესალმნენ: გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი, ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ყრილობამ მუშაობის დროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიიღო სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა, კომკავშირელთა, ახალგაზრდობის 90 ათასზე მეტი წერილი, მისალმება, მილოცვა და შრომითი პატაკი. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობის დელეგატთა სახელით მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გამოგზავნა გულთბილი მისალმებანი, მილოცვები, წინადადებანი, ყრილობა აღნიშნა შრომითი საჩუქრებით და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შემდეგ სხდომაზე ერთსულოვნად მიიღეს XXIII ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სკკპ XXIII ყრილობის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ნაწილობრივ ცვლილებათა შესახებ.

დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს „სკკპ XXIII ყრილობის განცხადება ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო“.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. არჩეულია ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, დამტკიცებულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აგრეთვე თქვა, რომ ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ თავის სხდომაზე აირჩია კომისიის თავმჯდომარე.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა სახლოლო სიტყვა. მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა დახურულად გამოაცხადა. დელეგატები და სტუმრები დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი

## ბოლო ტურის წინ

საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის XV ტურში გადადებული ს. ჩეჩელიან — კერნოჟიცკის პარტია გასულ ოთხშაბათს ყაიმით დამთავრდა. გუშინწინ კი შედგა ჩემპიონატის ბოლოსწინა, XVI ტური. ლიდერებიდან მხოლოდ გურგენიძემ წაიფორხილა: ცაიტნოტში დამარცხდა დავითაშვილთან. ჯინჯიხაშვილმა მოუგო მუკნიაშვილს, ბუსლაევმა — ალექსანდრიას, გიორგაძემ — ჩაგუნავას და ლომაიამ — უბილავას. ყაიმზე შეთანხმდნენ კერნოჟიცკი და რაზოვსკი. 3 პარტია გადაიდო.




### გუშინ...

გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ჩეჩელიანმა მოუგო ჩხაიძეს, ჩიქოვანმა — ბოკუჩავას, გვენცაძემ — თოხაძეს.

16 ტურის შემდეგ რ. ჯინჯიხაშვილსა და ა. ბუსლაევს 14-14 ქულა აქვთ, თ. გიორგაძეს — 11,5, ბ. გურგენიძეს — 11.

◆ **ფრუნზე**, 8 აპრილი. შესანიშნავმა საბჭოთა პარაშუტისტმა ვ. სელივერსტოვამ დღეს აქ მე-2000 ნახტომი შეასრულა. იგი პირველი სპორტსმენი ქალია მსოფლიოში, რომელმაც ამ ციფრს მიაღწია. სელივერსტოვამ თავისი ნახტომი სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დამთავრებას მიუძღვნა.

◆ **მოსკოვი**, 8 აპრილი. შაიბიან ჰოკეიში 1966 წლის პაკავშირო პირველობის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის ცსკა და „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს არმიელებმა — 12:5. დარჩენილი თამაშების შედეგების მიუხედავად, არმიელებმა გაინაღდეს ჩემპიონის ოქროს მედლები.

◆ **მოსკოვი**, 8 აპრილი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე ნახევარფინალურ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა-სა და ვარშავის აზსავფ-ს ფრენბურთელი ქალები. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:0 (15:8, 15:4, 15:11). ახლა ფინალში მათი მეტოქე იქნება მოსკოვის „დინამოს“ გუნდი.

## 3 : 0

**ბელგრადი**, 7 აპრილი. იუგოსლავიაში ტურნეს ბოლო, მეექვსე მატჩი საბჭოთა ნაკრების ფეხბურთელებმა გუშინ გამართეს „ცრვენა ზვეზდასა“ და „ბელგრადის“ ნაკრებთან და გაიმარჯვეს — 3:0 (2:0). გოლების ავტორები არიან ჩისლენკო, კოპაევი და საბო.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბანიკოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, გეტმანოვი, ჰუსაინოვი, საბო, მეტრეველი, პონედელნიკი, კოპაევი, ჩისლენკო (მესხი).

8 აპრილს საბჭოთა ფეხბურთელები მოსკოვს დაბრუნდებიან.

## 16 აპრილს, სანტ-იაგოში

როგორც ცნობილია, 16 აპრილს სანტ-იაგოში იწყება კალათბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. კენჭის ყრის შედეგად გუნდები ქვეჯგუფებში ასეთი თანმიმდევრობით დანაწილდნენ:

I ქვეჯგუფი — აშშ, პერუ, ბულგარეთი, მექსიკა;

II ქვეჯგუფი — სსრ კავშირი, პუერტო-რიკო, ესპანეთი, არგენტინა;

III ქვეჯგუფი — ბრაზილია, იუგოსლავია, პანამა, პარაგვაი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# რა ამძიმებს შტანგას?..

ამ ბოლო ხანებში ჩვენს პრესაში ხშირად ქვეყნდება სპორტის შემდგომი განვითარების საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები. ამ დაინტერესებას ობიექტური მიზეზები აქვს და გაპირობებულია იმ მზარდი მოთხოვნით, რაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წინაშე დგას.

ამ ორ-სამ წელიწადში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ძალოსანთა ტექნიკური შედეგები, შესწორდა რესპუბლიკური რეკორდები, ნაკრებში გვყავს საკმაოდ ძლიერი ძალოსნები — დათიკაშვილი, თურმანიძე, კალაშიანი, პაპიძე, მუშკუდიანი, სანიკიძე, ბაზაძე, მიმინოშვილი. პერსპექტიული ათლეტები არიან შავოშვილი, გასპარიანი, კაზანჯიანი, ჯიბლაძე. ჩვენ გვეამაყება, რომ სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიან შანიძე, კოჩიევი და ჯეჯელავა.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა და თვითდამშვიდებას მივეცეთ. არა, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი შეინიშნება, რომელთა დროულად გამოვლენა და აღმოფხვრა აუცილებელია და საგრძნობლად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში ძალოსნობის შემდგომ განვითარებას. ამ წერილის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ.

ამ 10-15 წლის წინათ ქართველი ძალოსნები წარმატებით გამოდიოდნენ არა მარტო სსრ კავშირის პირველობებში, არამედ საზღვარგარეთაც. მაგრამ კარგი ტრადიცია ისტორიას ჩაბარდა და წლების მანძილზე ამ სახეობაში არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა შეგვექმნა.

დღესდღეობით ვერც ერთი ჩვენი ძალოსნის მაჩვენებლები ვერც კი უახლოვდება ახალი ერთიანი საკავშირო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ საერთაშორისო კლასის ნორმატივებს (განსაკუთრებით სამჭიდში). თუ შარშან ჩატარებულ ღონისძიებებს გადავხედავთ, მდგომარეობა არც ისე ცუდი უნდა იყოს: თბილისისა და რესპუბლიკის პირველობებში, თუ შეიძლება ითქვას, რეკორდების წვიმა წამოვიდა. მაგრამ სწორედ აქ იმალება საშიშროება — ერთგვარმა წარმატებებმა არ მიჩქმალოს დიდი ხარვეზები, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ძალოსნების შემდგომ დაოსტატებაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული რეკორდები რესპუბლიკური მასშტაბისაა და ახლოსაც ვერ მიდის საკავშირო რეკორდებთან.

ამას გარდა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამ რეკორდების ავტორები არიან სპორტსმენები, რომლებიც დიდი ხანია დგანან მოწინავე ძალოსანთა რიგებში. მათ შორის არც ერთი ახალი გვარი არ გვხვდება.

ცუდი მდგომარეობა გვაქვს ძალოსნობის მასობრიობის მხრივაც. რესპუბლიკის შარშანდელ პირველობაში 71 ათლეტი მონაწილეობდა. ეს ციფრი მრავლისმეტყველია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათგან მხოლოდ 17 იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან. დანარჩენები თბილისელებია.

თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ ასპარეზობდა მხოლოდ 9 გუნდი, სურათი ნათელი გახდება. მთელი რიგი რაიონები და ქალაქები კვლავ არ ჩანდა პირველობაში. საყურადღებოა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან (გარდა გარდაბნისა, რომელიც თბილისელი ძალოსნებითაა დაკომპლექტებული) რესპუბლიკურ ღონისძიებებში წლების განმავლობაში ვერ ვხვდებით ვერც ერთ ძალოსანს. იგივე ითქმის ამბროლაურის, ონის, მესტიის, სამტრედიის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ფოთის, ხაშურის, თიანეთის, კასპის, გორისა და სხვა რაიონებზე. არც ისაა სწორი, რომ საქართველოს ღონისძიებებში აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები თითო გუნდით მონაწილეობენ.

დასახელებული რაიონების ფიზკულტურული ხელმძღვანელობა არ ზრუნავს ადგილებზე ძალოსნობის განვითარებისათვის. როგორც ჩანს, მათ ზურგს საქართველოს სპორტკავშირის შარშანდელი თებერვლის დადგენილება უმაგრებს, რომლის ძალით ამ სახეობის დანერგვა-განვითარება მხოლოდ 4 რაიონისთვის არის მიჩნეული სავალდებულოდ (ზოგან სასურველია, ზოგი რაიონისთვის კი, საერთოდ, არ ჩაუთვლიათ საჭიროდ).

ძალოსნობა არ მოითხოვს რთულ მოწყობილობებს, იარაღებსა და დარბაზებს და თავისუფლად შეიძლებოდა მისი ყველგან დანერგვა, მით უმეტეს, რომ ძალოსნური ვარჯიშები სპორტის თითქმის ყველა სახეობისთვის აუცილებელი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს.

რაც შეეხება ჩვენი ათლეტების მომზადების დონეს რესპუბლიკური პირველობის მიხედვით, იგი ვერ არის სახარბიელო. ამ ჩემპიონატში მხოლოდ 22 ოსტატი მონაწილეობდა. დანარჩენნი I, II და III თანრიგოსნებიც კი იყვნენ. დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ

## შენიშვნები რესპუბლიკაში ძალოსნობის განვითარების თაობაზე

ოსტატის ნორმა მხოლოდ 8 კაცმა შეასრულა, ხოლო 19-მა, საერთოდ, სათანრიგო ნორმატივიც ვერ უჩვენა. არც ერთი ახალი ოსტატი ამ შეჯიბრებაში არ გამოვლინებულა. კარგ შთაბეჭდილებას ვერც პრიზიორთა შემადგენლობა ტოვებს: მათგან რამდენიმე მეორეთანრიგოსანია.

ჩვენების ტექნიკური მომზადების დაბალ დონეზე მეტყველებს ისიც, რომ 10 საუკეთესო ძალოსნის საშუალო მაჩვენებელი ცალკეულ წონით კატეგორიებში საგრძნობლად ჩამორჩება ოსტატის ნორმას და საშუალოდ 1 თანრიგს უდრის.

სპორტის განვითარება ურეზერვოდ შეუძლებელია, კერძოდ, ახალგაზრდობის მიუზიდავად. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც ამ მხრივ გვაქვს. ფიზიკური კულტურა დღეს განვითარების იმ სტადიაშია, რომ სპორტსმენებისაგან უდიდეს ენერგიას, ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, დიდი დატვირთვით და მაღალი დაძაბულობით ვარჯიშს მოითხოვს. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ გაძნელდა აუცილებელი ფიზიკური მზადყოფნისა და, შესაბამისად, ჩემპიონობისა და რეკორდსმენობის დიდხანს შენარჩუნება. ბევრი ფიქრობდა, რომ ვლასოვს კარგა ხანს არ გამოუჩნდებოდა მეტოქე, მაგრამ, როგორც იცით, ახლა მას უკვე მრავალი კონკურენტი ჰყავს, ხოლო ტოკიოში ჟაბოტინსკიმ დაამარცხა კიდეც ეს ფენომენალური ათლეტი. გასაგებია, რომ დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დგას ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადების საკითხი.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

ისევ და ისევ უსიხარულო. საკმარისია გადავხედოთ ჩემპიონთა გვარებს: კვლავ ჩოლოკიანი, კაცობაშვილი, კოჩიევი, მიმინოშვილი, სანიკიძე (მდგომარეობას ბევრით არ ცვლის, რომ გამოჩნდა რამდენიმე ახალი ჩემპიონიც — შანიძე, კოსოვი და ჯეჯელავა). პრიზიორთა შორისაც იმათ ვხვდებით, რომლებიც აგერ უკვე რამდენიმე წელია მოწინავეთა რიგებში დგანან.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, გასაგებია, რომ დღეს მოქმედ ძალოსანთაგან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ცოტანი თუღა შევარჩევიან. საჭიროა გამოვავლინოთ ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები და შევუქმნათ მათ სათანადო პირობები ვარჯიშისთვის, რათა 3-4 წელიწადში მაინც მომზადდეს მოწინავე ძალოსნების ღირსეული ცვლა.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, ჯერ ერთი, ძალოსნობის მასობრივად განვითარება, მეორე, და, რაც მთავარია, მოზარდთა შორის საწვრთნელი მეცადინეობების ფართოდ გაშლა. ეს მნიშვნელოვანი საკითხი რესპუბლიკაში, შეიძლება ითქვას, სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ სპორტის ვერც ერთი სახეობა ვერ განვითარდება, თუ საიმედო ცვლა არ ეყოლა. ეს ჭეშმარიტება, ცხადია, ძალოსნობაზეც ვრცელდება. მსჯელობით ბევრჯერ გვიმსჯელია, მაგრამ დღემდე მაინც ვერ მოხერხდა ამ სახეობაში მოზარდთა ფართოდ ჩაბმა. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის არც ერთ ქალაქსა და რაიონში არ არსებობს მოზარდთა ძალოსნური ჯგუფი. ზედმეტია ლაპარაკი ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებზე.

რომ ამ მხრივაც არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს, ეს კარგად ჩანს ახალგაზრდებს შორის რესპუბლიკური პირველობის შედეგებიდან. ამ შეჯიბრებაში სულ 56 ძალოსანი მონაწილეობდა და ისინიც, ძირითადად, თბილისელები იყვნენ. ასპარეზობისას არც ერთ მათგანს არ უჩვენებია სპორტის ოსტატის შედეგი. უფრო მეტიც: 56 მონაწილიდან მხოლოდ სამმა შეასრულა 1 თანრიგის ნორმა, ხოლო ჩემპიონებიდან — ერთმა. მოხდა კურიოზული ამბავიც — ზემძიმე წონაში ჩემპიონმა საერთოდ ვერც ერთი თანრიგის ნორმა ვერ შეასრულა. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

გვინდა შევეხოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხსაც, რომლის სწორად გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული ძალოსნობის შემდგომი წინსვლა. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ წვრთნის მეთოდებსა და პრინციპებს მეცნიერული საფუძველი უნდა ჰქონდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული, ზოგი რამ ახლაც კეთდება, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, ჯერ ერთი, ცოტაა და, მეორეც, ყველა დაინტერესებულმა როდი იცის.

არც თუ ისე იშვიათად, საწვრთნელი მეცადინეობები მოძველებულ ყაიდაზე ტარდება. ზოგიერთ ჩვენს მწვრთნელს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმ მიღწევებსა და სიახლეებზე, რაც დღეს მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებაში არსებობს, არ იცნობს სპორტული წვრთნის თანამედროვე მეთოდებს. უმაღლესი კლასის ძალოსნის მომზადება, პირველ ყოვლისა, ათლეტის ინდივიდუალური თავისებურების შესწავლასა და გათვალისწინებას მოითხოვს. ამისთვის არსებობს ზოგიერთი იარაღი, ურომლისოდაც ძნელდება მუშაობა. მაგალითად, სსრ კავშირის ძალოსანთა ნაკრების მომზადებისას იყენებენ დინამოგრაფიულ ფიცარნაგს, შტანგის მოძრაობის განმსაზღვრელ ხელსაწყოს, სწრაფ ინფორმაციას და სხვ. ეს იარაღები საშუალებას იძლევა აღინუსხოს სპორტსმენის ხარვეზები როგორც ფიზიკურ, ისე ტექნიკურ მომზადებაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება წვრთნაში შესაბამისი კორექტივების შეტანა. ამ ხელსაწყოებზე რესპუბლიკის მწვრთნელებს წარმოდგენა აქვთ, მათი რეალურად გამოყენების საშუალება კი — არა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დარბაზების ამ იარაღებით აღჭურვა არც ისე დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ბოლო ხანს შეიმჩნევა, რომ ძალოსანთა ფიზიკურ მომზადებას მეტი ყურადღება ექცევა, ვინემ ტექნიკურს. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს და იმ მავნე აზრის ილუსტრაციად უნდა მივიჩნიოთ, რომ თითქოს ძალოსნისთვის მთავარია მხოლოდ ფიზიკური მომზადება.

ტექნიკური მოუმზადებლობა სპორტსმენს საშუალებას არ აძლევს ფიზიკური შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს. საკითხის მეცნიერულად შესწავლამ გამოარკვია, მაგალითად, რომ სსრ კავშირის ნაკრების წევრები ფიზიკური შესაძლებლობის მხოლოდ 40-45 პროცენტს იყენებენ, რაც ტექნიკურ მომზადებაში არსებული ხარვეზებით არის გაპირობებული.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ძალოსნებზე. მაგალითად, საუკეთესო ფიზიკური მონაცემების ძალოსნები არიან პაპიძე, კოჩიევი, კალაშიანი, მუშკუდიანი, მიმინოშვილი და სხვ. მაგრამ მათი ტექნიკური მომზადების დონე დაბალია და სწორედ ამიტომ ვერ ჩადგნენ სსრ კავშირის მოწინავე ძალოსანთა ავანგარდში. რესპუბლიკის ყველაზე პერსპექტიულ ძალოსნებად დღეისთვის სპორტის ოსტატები კოჩიევი, პაპიძე და ჯეჯელავა ითვლებიან, მაგრამ ამავე მიზეზის გამო, ვერც ისინი აჩვენებენ საერთაშორისო კლასის შედეგებს სამჭიდში.

ძალოსანთა წვრთნისადმი მეცნიერულ მიდგომას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აუცილებელია მოეწყოს კონფერენციები. სასურველია ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნას ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს. ჯგუფის მუშაობაში რესპუბლიკის საუკეთესო მწვრთნელები უნდა ჩაებან.

ქართულ ენაზე არ გაგვაჩნია არც ერთი მეთოდური სახელმძღვანელო. ჩვენთვის არც საზღვარგარეთელი და საბჭოთა ძალოსნების მიღწევების ამსახველი წერილებია ხელმისაწვდომი, რაც საგრძნობლად აფერხებს მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებას. შარშან, მარტში მოეწყო საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის თასზე" და ჩატარდა კონფერენცია, მაგრამ საქართველოდან მხოლოდ ერთი კაცის მივლინება მოხერხდა. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა კი საგრძნობლად აამაღლებდა რესპუბლიკის მწვრთნელების პროფესიულ დონეს.

ძალოსანთა ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო შეჯიბრებები. ჩვენი ათლეტების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია მოვაწყოთ ამხანაგური მატჩები, მაგალითად, ირანის, ფინეთის, თურქეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ავსტრიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან. ეს კარგი სტიმული იქნებოდა რესპუბლიკაში ძალოსნობის შემდგომი განვითარებისთვის.

ვერც ფართო მასებში ძალოსნობის პროპაგანდის საქმე დგას სასურველ დონეზე. ბოლო ხანებში ამ მხრივ თითქოს ერთგვარი წინსვლა იგრძნობა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

უდავოა, რომ შეჯიბრების კარგ ორგანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სპორტსმენთა მაქსიმალური შესაძლებლობის გამოვლენაში, ისე ფიზიკური კულტურის აგიტაციის თვალსაზრისითაც. უსწოროდ მიგვაჩნია არა მარტო რესპუბლიკური, არამედ უფრო მცირე მასშტაბის შეჯიბრებების ორ დღეში გამართვა. ძალოსნობა, როგორც სანახაობა, ნაკლებ მაყურებელს იზიდავს, მაგრამ იგი კიდევ უფრო უინტერესო ხდება, როცა 8-10 საათს გრძელდება. ასეთ შემთხვევაში იღლება როგორც მაყურებელი, ისე მსაჯი და, რაც მთავარია, სპორტსმენი. შეჯიბრებები, მით უმეტეს, თუ საქმე რესპუბლიკურ ან საქალაქო ღონისძიებას ეხება, სამ დღეს უნდა ჩატარდეს.

დაბოლოს, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ბაზებზე. აქ პირდაპირ სავალალო მდგომარეობა გვაქვს. რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, თბილისშიც კი არ გაგვაჩნია ისეთი დარბაზი, რომელიც წვრთნის თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ამაზე არაერთხელ ითქვა და უკვე დროა ქმედითი ზომები მივიღოთ. თუ ბაზებისა და ინვენტარის საკითხი უმოკლეს დროში არ მოგვარდა, ძალოსნობის განვითარებაზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა.

ამ წერილში ჩვენ ძირითადად ნაკლოვანებებზე ვილაპარაკეთ, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მათი გამოვლინება და გამოსწორება უაღრესად აქტუალური, გადაუდებელი ამოცანაა, მით უმეტეს, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მზადების ამ ცხარე დღეებში.

მ. ქლენტი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

შ. ბუაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის მასწავლებელი.



სსრ კავშირის რეკორდსმენს გ. კოჩიევს არაერთხელ გაუმარჯვნია როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებში.

სურათზე: გ. კოჩიევის წონის შემოწმება მორიგი რეკორდის დამყარების შემდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ცნობები ჭიათურიდან

### მაღაროელებმა მიუძღვნეს

სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილ ასპარეზობაში, რომელიც ჭადრაკსა და შაშში ჩატარდა, მაღაროთა სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივების 8 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. საერთო I ადგილი მოიპოვეს დიმიტროვის სახელობის მაღაროს სპორტსმენებმა.

### მწყემსი ჩემპიონი

„კოლმეურნის" მსროლელთა პირად-გუნდურ პირველობაში 12 გუნდის 60 სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს სოფელ ზოდის მსროლელებმა, II — ხალიფაურელმა, ხოლო III — ქვაციხელმა სპორტსმენებმა. პირადში I ადგილზე გავიდა მწყემსი გ. სამხარაძე. მომდევნო ადგილებზე არიან ზოდელები კ. ჰილაძე და კ. გაფრინდაშვილი.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **სამბოში** — ა. გაგლოევს (ცხინვალის „კოლმეურნე"), ვ. ბორჩაშვილს (გორის „ბურევესტნიკი"), ა. მარგველაშვილს (ქუთაისის „ბურევესტნიკი"), შ. ფიცხელაურს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **ფარიკაობაში** — დ. შარაშენიძეს, გ. ბახტაძეს, თ. ოქროშიძეს, თ. ცქიტიშვილს (ყველანი — თბილისის „ბურევესტნიკი"), ა. მაღლაკელიძეს (ქუთაისის „ბურევესტნიკი"), ლ. თუთარაშვილს (ქუთაისის „განთიადი"), რ. სარიშვილს (ქუთაისის „სპარტაკი"); **მძლეოსნობაში** — ნ. სავანელიძეს (თბილისის „განთიადი"), რ. სერებრიანის (თბილისის „ლოკომოტივი"), ვ. რუკინს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **აკრობატიკაში** — შ. ამონიშვილს (თბილისის „სპარტაკი"), ა. თედეევს (თბილისის „შრომითი რეზერვები"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ე. სარუხანოვს, გ. ონიანს (ორივენი — თბილისის „სპარტაკი"), ჯ. სიხარულიძეს (ქუთაისის „სპარტაკი"), ნ. ტყეშელაშვილს, ო. მიქელთაძეს (ორივენი — ქუთაისის „განთიადი"); **ველოსპორტში** — ლ. კაბაჩიანს, ვ. გლუშკოს, ტ. ლემსკოის (ყველანი — სოხუმის „კოლმეურნე"), ა. მაგუსევს (ქობულეთის „კოლმეურნე"), ი. კრასავცევს (რუსთავის „დინამო"), მ. ქანთარიას (თბილისის „ბურევესტნიკი"), ლ. სტაშევსკაიას (თბილისის „დინამო"); **საწყლოსნო-სამოტორო სპორტში** — კ. ზავადსკის (ბათუმის „სპარტაკი"); **ძალოსნობაში** — მ. წიწვიძეს (თბილისის „ლოკომოტივი"), თ. ტყეშელაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ი. მხითარიანს (თბილისის „დინამო"); **ნიჩბოსნობაში** — ა. დოლმაზოვს (თბილისის „შრომითი რეზერვები"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ვ. ღარიბაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **მხატვრულ ტანვარჯიშში** — გ. შალიკიანს (ქუთაისის „ბურევესტნიკი"), მ. ჩიხლაძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **ტყვიის სროლაში** — დ. ლუაშვილს (თბილისის „დინამო").

# სისტემა უნდა შეიცვალოს

საგაზაფხულო არდადეგების დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ნორჩ მოჭადრაკეთა პირად-გუნდური პირველობა. ბრძოლაში ჩაება 18 ქალაქის 22 გუნდი (თბილისის 3 და ქუთაისის 1 გუნდი შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობდა). თვითეულ გუნდში 3 ჭაბუკი და 1 გოგონა შედიოდა. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით ჩატარდა — გაიმართა 7 ტური.

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ შვეიცარიული სისტემა, მით უმეტეს, გუნდურ პირველობებში, მიზანშეუწონელია. ამ სისტემით თამაშის დროს ყოველთვის თანაბარი ძალის მეტოქეები როდი ხვდებიან ერთმანეთს და ამიტომ, უძლიერესის დადგენაც ჭირს. მსაჯთა კოლეგიამ ეს გარემოება გაითვალისწინა და გუნდების წარმომადგენლებთან შეთანხმებით პირადი პირველობა გამართა. თვითეული მონაწილის დაგროვილი ქულების შეჯამებით გამოყვანილ იქნა გუნდური შედეგები.

აი, ისინიც:

პირველ დაფაზე — I. გ. ვარდოსანიძე (თბილისის 1-ლი სკოლა) — 6 ქულა; II-III. ნ. ფარღალავა (ფოთის მე-2 სკოლა), ა. გიორგაძე (სოხუმის მე-5 სკოლა) — 5,5-5,5; IV-VI. რ. ნადირაძე (სამტრედიის მე-3 სკოლა), ნ. ჩუბინიძე (თბილისის 51-ე სკოლა), თ. ბრეგვაძე (ტყიბულის მე-6 სკოლა) — 4,5-4,5.

მეორე დაფაზე — I-II. დ. ექვთიმიშვილი (თბილისის მე-100 სკოლა), ვ. მეჩიტოვი (თბილისის 37-ე სკოლა) — 5,5-5,5; III-V. კ. სანიკიძე (ცხაკაიას მე-2 სკოლა), ჯ. მუკნიაშვილი (თბილისის მე-17 სკოლა), მ. ძნელაძე (თბილისის მე-4 სკოლა) — 5-5.

მესამე დაფაზე — I. გ. გურგენიძე (ქუთაისის 32-ე სკოლა) — 5,5; II-V. ა. დავთიანი (გულრიფშის რუსული საშუალო სკოლა), ვ. ვეფხვიშვილი (თბილისის მე-8 სკოლა), ა. ხარიტონაშვილი (თბილისის 29-ე სკოლა), თ. გრძელიშვილი (თბილისის მე-16 სკოლა) — 5-5.

მეოთხე დაფაზე (გოგონები) — I. ც. კობაიძე (თბილისის 29-ე სკოლა) — 6; II-III. ნ. ხუბულური (თბილისის მე-4 სკოლა), ა. ბაძაღუა (ზუგდიდის მე-10 სკოლა) — 5,5-5,5; IV. ნ. ბალაშვილი (თბილისის მე-15 სკოლა) — 5; V-VI. დ. გამყრელიძე (ქუთაისის მე-13 სკოლა), ზ. შენგელია (სამტრედიის მე-2 სკოლა) — 4,5-4,5.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: I. თბილისი — 21,5 ქულა, II. სოხუმი — 19, III. ქუთაისი — 17,5, IV. ფოთი — 17, V. ზუგდიდი — 15,5, VI. ცხაკაია — 14,5, VII. სამტრედია — 14, VIII. რუსთავი — 13,5, IX. ბათუმი — 13, X-XI. ჭიათურა, გორი — 11,5-11,5, XII. ზესტაფონი — 11, XIII-XV. საგარეჯო, თელავი, ტყიბული — 10-10, XVI-XVII. ცხინვალი, ხაშური — 9-9, XVIII. აბაშა — 8.

მოსწავლეთა უმეტესობამ პერსპექტიულ მოჭადრაკედ გაგვაცნო თავი. ზოგიერთმა სპორტული თანრიგიც აიმაღლა.

I თანრიგის ნორმა შეასრულეს ნ. ბალაშვილმა, ა. დავთიანმა, კ. სანიკიძემ, გ. გურგენიძემ, II თანრიგისა — გ. სანიკიძემ (ცხაკაია), ა. ანდღულაძემ (ფოთი), ზ. შენგელიამ, III — ა. ექვთიმიშვილმა (საგარეჯო).

და, ბოლოს, ისევ ასპარეზობის სისტემის თაობაზე: იგი უთუოდ უნდა შეიცვალოს. ბავშვების მწვრთნელთა უმრავლესობის აზრით, კარგი იქნება ასპარეზობის მონაწილე გუნდები ჯგუფებად დაიყოს, ხოლო იმისათვის, რომ არდადეგების დღეებში ტურნირის წრიული სისტემით ჩატარება მოხერხდეს, თითო ჯგუფში 8 გუნდი გაერთიანდეს. მათგან პირველი სამი გამარჯვებული კოლექტივი ერთი ჯგუფით დაწინაურდეს, ხოლო ის სამი, ვინც ბოლო ადგილებს დაიკავებს, მომდევნო ჯგუფში გადავიდეს. ყოველივე ეს თვით ბავშვების, მწვრთნელებისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების მონდომებისა და დაინტერესების შესანიშნავი სტიმული იქნება. ამას გარდა, უფრო ცხადად გამოჩნდება ამა თუ იმ ქალაქისა და რაიონის გუნდების შესაძლებლობა.

საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ და ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის ბავშვთა კომისიამ დროულად უნდა იმსჯელონ ამ საკითხზე.

**თ. გიორგაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჭადრაკი

# შეხვედრები ფინიშზე

საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატში ბრძოლამ ფინიშზე მძაფრი სახე მიიღო. შემოქმედებით პაექრობას სიფიცხე შეემატა. გრძნობათა ღელვა თავის ბეჭედს ასვამს ყოველ შეხვედრას. აქ მოყვანილ პარტიებშიც იგრძნობა ფინიშის ციებ-ცხელება.

### რ. ჯინჯიხაშვილი — ბ. გურგენიძე

ამ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ერთპიროვნული ლიდერის გასარკვევად. გურგენიძემ გამოიყენა მანამდე უცნობი გაგრძელება ფიგურის შეწირვით და თვალშესავლები უპირატესობაც მოიხვეჭა. მაგრამ შემდგომ უსწოროდ ითამაშა კრიტიკულ პოზიციაში (16. ... კd7), რასაც თეთრების გონებამახვილური თამაში მოჰყვა.

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. მf3 კg7 5. ლb3 dc 6. ლ:c4 0—0 7. e4 მa6 8. კg5 c5 9. d5 h6 10. კh4 b5 11. მ:b5 მ:e4 12. ლ:e4 ლa5+ 13. მd2 კ:b2 14. ლb1 კ:a1 15. ლ:a1 მb4 16. ლc3 კd7 17. კ:e7 ეfe8 18. d6 კ:b5 19. მe4 მd3+ 20. კ:d3 ლ:c3+ 21. მ:c3 კ:d3 22. მd5 ეeb8 23. მფd2 კf5 24. ეc1 ეh2+ 25. მფe3 ეc8 26. კf6 ეhb8 27. მe7+ მფf8 28. მ:f5 gf 29. d7 ეd8 30. ეd1 შავები დანებდნენ, ვინაიდან ეd6-ის შემდეგ თეთრები მეფით უახლოვდებიან თავის პაიკს და იმარჯვებენ.

### ა. ბუსლაევი — ა. ბვენცაძე

ოსტატ ბუსლაევს ბევრი პარტია მოუგია თეთრებით იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ამბროლაურელმა მოჭადრაკემ გამოიყენა. იგი ამჯერადაც ფორსირებულად ღებულობს მოსაგებ პოზიციას. კონტრთამაშის შესაქმნელად შავებს 7. ... c6 უნდა ეთამაშათ.

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. მf3 0—0 6. კe2 c5 7. d5 მa6 8. კf4 ეe8 9. 0—0 მc7 10. h3 მd7 11. ეe1 a6 12. a4 ეb8 13. a5 b5 14. ab ე:b6 15. ლc2 e5 16. კd2 მf8 17. კd3 კd7 18. მa4 ეb7 19. ეeb1 ლb8 20. მe1 ლd8 21. b4 კ:a4 22. ლ:a4 მd7 23. კe3 cb 24. ე:b4 ე:b4 25. ლ:b4 კf8 26. კc2 მc5 27. ლb6 ლb8 28. კ:c5 dc 29. ლc6 ეd8 30. ეb1 ლc8 31. მd3 ეd6 32. ლb7 ლ:b7 33. ე:b7 მe8 34. მ:e5 ეd8 35. მ:f7 ეa8 36. e5 a5 37. კa4 მg7 38. g4 მe8 39. f4 h5 40. მფf2 ეc8 41. d6 შავები დანებდნენ.

### გ. მუკნიაშვილი — თ. ლომაია

ახალგაზრდა გორელი პირველთანრიგოსანი გ. მუკნიაშვილი სისტემატურად მიმართავს დაწყებას, რომლის დიდი მცოდნეა ბელორუსიელი ოსტატი გ. ვერესოვი. ამ დებიუტს თითქმის არავინ თამაშობს. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ოსტატ ლომაიას მოუმზადებლობა და შეცდომები, რომლებიც შესანიშნავად გამოიყენა მისმა მეტოქემ.

ლაზიერის პაიკების დებიუტი

1. d4 მf6 2. მc3 d5 3. კg5 c5 4. კ:f6 gf 5. e4 de 6. dc ლa5 7. ლh5 e6 8. 0—0—0 ლ:c5 9. მ:e4 ლe5 10. ლh4 კe7 11. მf3 f5 12. მ:e5 კ:h4 13. მd6+ მფe7 14. მe:f7 ეf8 15. g3 კf6 16. მ:c8+ ე:c8 17. მd6 ეd8 18. კg2 მc6 19. მ:b7 ეdc8 20. მd6 ეc7 21. მb5 კ:b2+ 22. მფ:b2 ეb8 23. a4 a6 24. ეd6 მb4 25. ე:e6+ მფ:e6 26. მ:c7+ მფd6 27. მ:a6 მ:a6+ 28. მფc3 ეc8+ 29. მფd2 მb4 30. c3 მa6 31. კb7 შავები დანებდნენ.

### ა. ბოკუჩავა — ს. ჩეჩელიანი

ცუდმა სატურნირო მდგომარეობამ ბოკუჩავას უკარნახა გამომწვევად ეთამაშა ჩემპიონატის ყველაზე უმცროს მონაწილესთან, 14 წლის ს. ჩეჩელიანთან. მან ფიგურა შესწირა პოზიციაში, სადაც იერიშის თანდათანობითი განვითარება იყო საჭირო. ჭაბუკმა კარგად დაიცვა საკუთარი მეფე და კონტრიერიშზეც გადავიდა.

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 c5 5. a3 კ:c3+ 6. bc ლc7 7. მf3 მe7 8. a4 0—0 9. კd3 h6 10. 0—0 b6 11. კ:h6 gh 12. ლd2 მფg7 13. ლf4 მg6 14. ლf6+ მფg8 15. კ:g6 fg 16. ლ:g6+ ლg7 17. ლh5 მფh7 18. a5 კa6 19. ეfe1 მc6 20. ab ab 21. h4 კe2 22. მg5+ ლ:g5 23. ლ:e2 ლ:h4 24. ე:a8 ე:a8 25. ლb5 მe7 26. ლ:b6 ლg4 27. dc ეg8 28. g3 h5 29. ლb4 h4 30. ლ:g4 ე:g4 31. ეb1 მფg6 32. ეb6 მფf5 33. ეb7 მc6 34. ეf7+ მფ:e5 35. f4+ მფe4 36. ეf6 ე:g3+ 37. მფf2 მd8 38. ეf8 ე:c3 თეთრები დანებდნენ.

### ე. უბილავა — ა. რაზოვსკი

მანევრულ თამაშში უბილავამ მეტოქეს მცდარი გეგმისკენ უბიძგა — ნაადრევად დააწყებინა ცენტრში თამაში. თეთრების მე-20 სვლის შემდეგ გამოირკვა, რომ შავებს უჭირთ. ხარისხის დათმობამაც ვერ შეამსუბუქა მათი ბედი: უბილავა ზუსტად თამაშობდა.

ინგლისური დაცვა

1. c4 c5 2. მc3 მc6 3. g3 g6 4. კg2 მh6 5. e3 მf5 6. მge2 კg7 7. b3 0—0 8. 0—0 a6 9. ეb1 ეb8 10. კb2 d6 11. d3 კd7 12. მd5 კ:b2 13. ე:b2 b5 14. მ5c3 e6 15. ეb1 ლc7 16. ლd2 f6 17. მe4 მფg7 18. ეbc1 e5 19. cb ab 20. d4 cd 21. ed d5 22. მc5 e4 23. მa6 ლb6 24. მ:b8 ე:b8 25. ეc5 მc:d4 26. ე:d5 მ:e2+ 27. ლ:e2 კc6 28. ეdd1 ეe8 29. ეc1 ეe6 30. ეfd1 მd4 31. ლe3 მ:f3+ 32. კ:f3 ლ:e3 33. fe ef 34. მფf2 f5 35. ეc5 მფf6 36. ეd4 კe4 37. h4 h5 38. ე:b5 ეc6 39. ეc4 ეd6 40. მფe1 ეd3 41. ეb6+ მფg7 42. ეc7+ მფh6 43. ეb8 შავები დანებდნენ.

**თ. ნინოშვილი.**



ვ. თოხაძე.
მეგობრული შარჟი რ. ხანდირაძისა.

# საბჭოთა ფეხბურთის სნაიპერები

სპორტის მოყვარულთათვის ზოგჯერ გაუგებარია, თუ რატომ იცვლება საბჭოთა ფეხბურთის გამოჩენილ სნაიპერთა მიერ გატანილი ბურთების რაოდენობა სტატისტიკურ ანგარიშებში. მაგალითად, იწერებოდა, რომ მოსკოვის დინამოელ ს. სოლოვიოვს გატანილი ჰქონდა 130 ბურთი, ხოლო ა. ღოღობერიძეს — 126. შემდეგ გამოჩნდა სხვა ციფრები, შესაბამისად 136 და 127.

ამ სტრიქონების ავტორი ფეხბურთის სტატისტიკოსთა შტაბის წევრია და ამიტომ იმყოფება მოვლენათა განვითარების კურსში. საქმე ის არის, რომ ბოლო დრომდე მიმდინარეობს გულდასმითი, ძალზე შრომატევადი მუშაობა გატანილი ბურთების ავტორობის დასადგენად. განსაკუთრებით ხახლაფორთოა ომამდელ ჩემპიონატებში გატანილი ბურთების ავტორთა ვინაობის დადგენა. როგორც ცნობილია, იმ ხანებში ოქმებში არ აღინიშნებოდა გატანილი ბურთების ავტორები, პრესიდან აღებულ ცნობებში კი ხშირად ვხვდებით წინააღმდეგობებს.

დიდი შრომა მოგვიხდა, რათა დაგვედგინა ჭეშმარიტება და ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომამდელი გოლების სიზუსტე დადგენილია ზუსტად და შეცდომა შეიძლება იყოს სადმე მხოლოდ ერთ ბურთში.

ამრიგად, გთავაზობთ საუკეთესო საბჭოთა სნაიპერთა მონაცემებს (100 და მეტი გოლის ავტორებს).

ა. პონომარიოვი — 148, ნ. სიმონიანი — 142, ს. სოლოვიოვი — 136, ვ. ფედოტოვი — 129, ა. ღოღობერიძე — 127, ვ. ივანოვი — 122, ზ. კალოევი — 115, კ. ბესკოვი — 103, ვ. ვოროშილოვი — 102, ს. სალნიკოვი — 101.

10 ამ „ზეასელი" სნაიპერიდან ცხრამ უკვე დაამთავრა გამოსვლები და მხოლოდ ვ. ივანოვი შერჩა ბრძოლის ველს. შესაძლოა, მან შეძლოს სამეულში გადანაცვლება.

პირველ ათეულს მოსდევს მეორე. ეს ის ფეხბურთელებია, რომლებმაც გაიტანეს 80-ზე მეტი ბურთი.

აი, მათი სია: ბ. პაიჭაძე — 97, ვ. ბობროვი — 97, ნ. დემენტიევი — 86, ა. გრინინი — 86, ვ. კარცევი — 86, ვ. კანევსკი — 86, ვ. დიომინი — 83, ა. ილინი — 83, გ. გუსაროვი — 81, ვ. სოკოლოვი — 80. ამ ფეხბურთელთაგან დღეს მწყობრში არიან ვ. კანევსკი და გ. გუსაროვი. სავსებით მოსალოდნელია, რომ ორივემ მიაღწიოს სანუკვარ ციფრს — 100-ს.

„მესამე ეშელონში" მოქცეული არიან ფეხბურთელები, რომლებსაც გატანილი აქვთ 60-80 გოლი. მათ შორის დღეისთვის განაგრძობენ თამაშს ო. კოპაევი, გ. კრასნიცკი, ვ. ბარქაია, ი. ფალინი, გ. ჰუსაინოვი, შ. იამანიძე, ე. სტრელცოვი, ი. ჩისლენკო.

მალე უნდა გამოვიდეს სქელტანიანი შრომა „საბჭოთა ფეხბურთის მატიანე", სადაც დაწვრილებით იქნება მოცემული ყველა სტატისტიკური მონაცემი.

ფეხბურთის სტატისტიკოსთა შტაბის დავალებით, თხოვნით მივმართავ ქართველ ფეხბურთის მოყვარულებს: ჩვენი მისამართით (**Москва, Скатертный пер. № 4**) გამოგზავნონ ყველა ის საინტერესო მასალა, რაც ეხება ქართული ფეხბურთის ისტორიას.

**კ. ესენინი,**
ფეხბურთის სტატისტიკოსი.
მოსკოვი.

# კიდევ ერთი სტადიონი!

თაოსნობის ნაყოფი

სოფლად ფიზიკური კულტურის შემდგომი აღმავლობის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების პასუხად დმანისის რაიონის ყარაბულახის მერძევეობა - მეკარტოფილეობის მეურნეობის ზემო ყარაბულახის განყოფილების ახალგაზრდებმა და ამავე სოფლის სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა საკუთარი ძალებით სტადიონის მოწყობა ითავეს.

ამ კეთილ საქმეს მხარი დაუჭირეს მეურნეობის დირექტორმა შ. ოკმელაშვილმა და სკოლის დირექტორმა დ. ისმაილოვმა. მალე შესაფერი ადგილი გამოიძებნა და მუშაობაც გაჩაღდა. პირველ ყოვლისა, ფეხბურთის მინდორი მოასწორეს და ქვის ზღუდე შემოავლეს. განზრახული აქვთ მოაწყონ ფრენბურთის, კალათბურთის, ტანვარჯიშის მოედნები, რაც სავსებით დააკმაყოფილებს სოფლის ახალგაზრდობის მოთხოვნებს.

ამას წინათ აქ საზეიმოდ გაიხსნა ახალი სტადიონი. იმავე დღეს შედგა ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეურნეობის ახალგაზრდა მუშაკები და სკოლის მოსწავლეები. უპირატესობა თავიდანვე აშკარად მოსწავლეთა მხარეზე იყო და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 6:1.

**დ. მიქაილოვი,**
ფიზაღზრდის მასწავლებელი.
დმანისის რაიონი.



# თასი მასპინძლებს

„საქჩაის" სამტრედიის მექანიკური ქარხნის კალათბურთის მოედანზე ჩატარდა „განთიადის" რაიონული საბჭოს თასის გათამაშება. ასპარეზობაში ვაჟთა 6 გუნდი მონაწილეობდა. მასპინძელთა კოლექტივმა შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და I ადგილი მოიპოვა.

მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ბამბის სართავი ფაბრიკისა და კულაშის საქსოვი ფაბრიკის გუნდებს.

**მ. გაგუა,**
„განთიადის" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

* * *

სურათზე: „საქჩაის" მექანიკური ქარხნისა და ბამბის სართავი ფაბრიკის კალათბურთელთა ფინალური მატჩის მომენტი.

ფოტო ვ. არზუმანოვისა.

# უკანასკნელი ნაკვალევი

გაზაფხულის მოძალების მიუხედავად, ბაკურიანის სათხილამურო ტრასებს კიდევ შემორჩათ თეთრი საბურველი. და აი, ამ დღეებში კოხტა გორაზე გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების 68 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა.

ვაჟთა შორის სპეციალური და გიგანტური სლალომი, სწრაფდაშვება და სამთო სამჭიდი მოიგო მოსკოველმა ტ. მონასტიროვმა. ქალებში ასეთივე წარმატებას მიაღწია სვერდლოვსკელმა გ. მალოზიომოვამ.

ჩვენი რესპუბლიკიდან ქალთა ასპარეზობაში არავინ გამოსულა. ვაჟთა შორის ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა ა. ჯეირანაშვილმა, რომელმაც VI ადგილი დაიკავა სლალომში.

**გ. თენგოშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

## უცხოური ამბები

- ფინალში გავიდნენ
- 813 და 638
- კლარკის ბოიკოტი
- პირველკლასელი მოჭადრაკე
- ლონდონისკენ...

● **სოფია**, 7 აპრილი. მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელი ქალები გავიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში. ბულგარეთის დედაქალაქში გამართულ მეორე ნახევარფინალურ მატჩში მათ დაამარცხეს ადგილობრივი „ლევსკი“ — 3:1 (13:15, 15:7, 15:11, 15:11). ამ გუნდების პირველი ნახევარფინალური თამაში მოსკოვში, როგორც ცნობილია, ასევე საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

● **ვარშავა**, 7 აპრილი. სსრ კავშირის კალათბურთელ ჭაბუკთა ნაკრებმა დაამთავრა ტურნე პოლონეთში. ბოლო თამაშში სტუმრებმა გაიმარჯვეს ადგილობრივ „გვარდიასთან“ — 76:59.

● **კოპენჰაგენი**, 7 აპრილი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ ფინალურ მატჩში „ლაიპციგის“ (გდრ) ხელბურთელმა ქალებმა დაამარცხეს დანიის წარმომადგენელი — „ფკ კოპენჰაგენი“ — 7:6. ამ გუნდების საპასუხო მატჩი გაიმართება 16 აპრილს ლაიპციგში.

● *პრეტორია* (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 7 აპრილი. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონის — ინგლისელი ლინ დევისის პირველი გამოსვლა წლევანდელ სეზონში საკმაოდ მაღალი შედეგით აღინიშნა. სიგრძეზე მისი ნახტომი 813 სანტიმეტრს უდრიდა. დევისის თანამემამულემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერი რენდმა ასევე აჩვენა მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგი ღია სტადიონებისთვის — იგი სიგრძეზე 638 სანტიმეტრზე გადახტა. ი. ზიგკარტმა (გფრ) 208 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა.

● **სიდნეი**, 7 აპრილი. გრძელ მანძილებზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს. კლარკმა განმარტა, რომ იგი მეტისმეტად ძნელად ეგუება მაღალმთიანეთის პირობებს და მეხიკოში სრული აკლიმატიზაციისთვის სულ ცოტა 3 თვე დაჭირდება. „მე კი, — თქვა კლარკმა, — ასეთი ხანგრძლივი მომზადებისთვის ფული არა მაქვს“.

● *კატოვიცე*, 7 აპრილი. 17-მა ათასმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა კატოვიცეს სავოევოდოს საჭადრაკო ოლიმპიადაში. ნორჩი მოჭადრაკეებისთვის იოლი როდი იყო ფინალში გასვლა, რომელიც ახალგაზრდობის კულტურის სასახლეში გაიმართა. ერთ-ერთი, ვინც ფინალში გამოიჩინა თავი, პირველკლასელი მოსწავლე, 8 წლის ბოჟენა ნავროტი გახლდათ. ვინ იცის, ნონა გაფრინდაშვილის მეტოქე იქნებ პატარა ქალაქ ბელსკო-ბიალაში იზრდება?

● **კიროვსკი**, 7 აპრილი. საბჭოთა სამთო-მოთხილამურეების ერთ-ერთი მეტად საპატიო ნადავლი — კიროვის სახელობის ოქროს პრიზი — ხიბინის მთების ფერდობებზე გამართულ შეჯიბრებებში მოიპოვეს მოგვარეებმა ივანოვებმა — კიროველმა სერგეიმ და ლენინგრადელმა ალფინამ.

● *მოსკოვი*, 7 აპრილი. ევროპის ჩემპიონატში სასპარეზოდ დღეს ლონდონს გაფრინდა მაგიდის ჩოგბურთელთა საბჭოთა გუნდი, რომელშიც შედიან გრინბერგი, პაისარვი, პოლოსოვა, ბალაიშიტე, ანისიმოვა, გომოზკოვი, ამელინი, სარხოიანი, აგერინი, ბროდსკი. ჩემპიონატი დაიწყება 13 აპრილს.

უცხოური ამბები



რეგბისტები.

ფოტო ა. საკოევისა.

## მწვრთნელები უჩივიან კლუბებს

**ურუგვაის** ნაკრების მწვრთნელებმა ო. ვიერამ და ხ. ლოპესმა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას განუცხადეს, რომ ნაკრები გუნდის მზადება მსოფლიო პირველობისთვის ფაქტიურად ჩაშლილია. მწვრთნელები უჩივიან წამყვან კლუბებს — „პენიაროლსა“ და „ნასიონალს“, რომლებიც არ ათავისუფლებენ მოთამაშეებს. ორივე ეს გუნდი მონაწილეობს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში და არაფრად აგდებს მსოფლიო პირველობას.

მთავარმა მწვრთნელმა ვიერამ ერთხანს გადაწყვიტა ხელი ჩაექნია ამ ორ გუნდზე და თავი მოუყარა დანარჩენი გუნდების 30 მოთამაშეს. აქედანაც არაფერი გამოვიდა, ვინაიდან ამ ქვეყნის ყველა მოწინავე ფეხბურთელი „პენიაროლსა“ და „ნასიონალშია“ თავმოყრილი. შეკრება ჩაიშალა. მონტევიდეოს კლუბი „ცერო“, რომელიც სიძლიერით მესამეა ურუგვაიში, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, მექსიკაში გაემგზავრა. „ჩვენ მაისის დასასრულს დავბრუნდებით“, — ასეთი დეპეშა მიიღო ვიერამ.

„ასეთ პირობებში მსოფლიო ჩემპიონატში რაიმე წარმატებაზე ოცნებაც კი ძნელია“, — სამართლიანად აღნიშნავენ ურუგვაელი მიმომხილველები.

## თასის მფლობელი დამარცხდა

**შედგა** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი. ლონდონში ადგილობრივი „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (თასის მფლობელი) შეხვდა დორტმუნდის „ბორუსიას“.

თამაშმა ცხადყო, რომ „ვესტ ჰემი“ წლეულს სუსტად გამოიყურება. მართალია, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, ერთგვარი უპირატესობა მაინც ლონდონელთა მხარეს იყო. გერმანელები არც მაშინ დაბნეულან, როცა 57-ე წუთზე მასპინძელმა პიტერსმა მათ კარში გაიტანა გოლი. ისინი მშვიდად იცავდნენ თავს და დროდადრო სახიფათო კონტრიერიშებს ახორციელებდნენ. სწრაფმა გერმანელმა ფორვარდებმა თავისი მისია შეასრულეს და მარცხენა გარემარბმა ემერიხმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

86-ე წუთზე „ბორუსიის“ ცენტრფორვარდმა ჰელდმა ზუსტად გააყვანა დარტყმაზე იგივე ემერიხი და გფრ-ის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა მეორე გოლი გაიტანა „ვესტ ჰემის“ კარში — 2:1. დარჩენილი წუთები მასპინძელთა გაათრებული შტურმით აღინიშნა, მაგრამ „ბორუსიამ“ ანგარიში და ფინალში გასვლის თითქმის ნაღდი შანსები შეინარჩუნა.

მომავალ ოთხშაბათს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად დორტმუნდში.

(საქ. ინფ.).

## სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პლენუმი

გასულ ხუთშაბათს გაიმართა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ფედერაციის თავმჯდომარის მ. კაკაბაძის საანგარიშო მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების, საქტესის წარმომადგენლებმა.

პლენუმმა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია მ. კაკაბაძე, მოადგილედ — ო. ნოზაძე, მდივნად — მ. ცანავა.



▲ **სიბრინგი** (აშშ). მოეწყო 12-საათიანი ტრადიციული ავტორბოლა, რომელიც მოიგო მაილისა და რუბის „ფორდმა“. კანადელი მაკლინის მანქანას შეჯიბრებისას საჭე მოეშალა, ტრასიდან გადაუხვია და 4 მაყურებელი იმსხვერპლა.

▲ **ბუდაპეშტი**, დუისბურგის (გფრ) „კაიზერბერგის“ სპორტსმენმა ქალებმა აქ მოიგეს განმეორებითი ფინალური მატჩი ადგილობრივ „ვერეშ მეტეორს“ (7:2) და 1966 წლის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა გუნდური თასის მფლობელები გახდნენ მაგიდის ჩოგბურთში.

## სტუმრად ლეგენდარულ მეკარესთან

**მექსიკელი** მეკარე ა. კარბახალი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ფეხბურთელია მსოფლიოში. იგი ჯერ კიდევ 1948 წელს იცავდა თავისი ქვეყნის ნაკრების კარს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში და ოთხჯერ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებში.

ამას წინათ კარბახალს ეწვია ბერლინის „დოიჩეს შპორტ-ეხოს“ კორესპონდენტი ვ. ჰემპელი. ვბეჭდავთ მათ საუბარს მცირეოდენი შემოკლებით.

● **როგორ მოახერხეთ 20 წლის მანძილზე ნაკრებში ადგილის შენარჩუნება?**

— ვაკეთებდი ყველაფერს, რასაც მწვრთნელი მეუბნებოდა. დისციპლინა უპირველეს ყოვლისა — აი, ჩემი დევიზი. ბევრს ვვარჯიშობ დამოუკიდებლად, ვთამაშობ მაგიდის ჩოგბურთს, კალათბურთს, ახალგაზრდობაში კრივის გაკვეთილებსაც ვიღებდი. კრივი მეკარეს ეხმარება რეაქციის გამომუშავებაში.

● **მეკარეს უფრო დიდ ხანს შეუძლია კარგი ფორმის შენარჩუნება, ვიდრე სხვა მოთამაშეს?**

— დიახ. მინდვრის მოთამაშეს სულ სხვაგვარი ფიზიკური მომზადება სჭირდება. სპორტული კარიერა დავიწყე როგორც თავდამსხმელმა, მინდოდა კარგი ფორვარდი ვყოფილიყავი, მაგრამ ვერავითარ საფრთხეს ვერ ვუქმნიდი მეტოქეებს. ეტყობა, სათანადო ნიჭი არა მქონდა. მაშინ შევიცვალე ამპლუა და მეკარე გავხდი.

● **რომელი მეკარეა სამაგალითო თქვენთვის?**

— განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო საბჭოთა მეკარე იაშინი, ბრაზილიელი ჟილმარი და ინგლისელი სპრინჯეტი.

● **რომელ თავდამსხმელებს უფრთხოდით?**

— განსაკუთრებით დამამახსოვრდნენ პელე, გარინჩა და ვავა.

● **ვინ მიგაჩნიათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად?**

— ბრაზილიის ნაკრები, რომლის ოსტატობის დონე დღეისთვის მიუღწეველია.

● **რას იტყვით მექსიკელთა შანსებზე ლონდონში?**

— მაქსიმუმი, რასაც შეგვიძლია მივაღწიოთ, ესაა ურუგვაისა და საფრანგეთის გუნდების დამარცხება.

## ფეხბურთი

● **სტოკჰოლმი.** გამოჩენილმა თავდამსხმელმა კ. ჰამრინმა უარყო სტოკჰოლმის აიკ-ის წინადადება დაბრუნდეს სამშობლოში. ჰამრინმა განაცხადა, რომ იგი „ფიორენტინაში“ ითამაშებს 1968 წლამდე. შემდეგ კი იტალიის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი გახდება.

● **ლისაბონი.** ცნობილმა სპეციალისტმა ბ. გუტმანმა ილაპარაკა „ბენფიკის“ სერიოზული კრიზისის შესახებ. „გუნდს, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ქვეყნის ვარსკვლავებისგან, არ შეიძლება ჰქონდეს მონოლითური ანსამბლის სახე. ეს ვარ-

### უცხოეთი ამბები

სკვლავები ერთმანეთს მტრულად ექცევიან და არა აქვთ კოლექტივის გრძნობა“. გუტმანმა „ბენფიკის“ „მკვდრეთით აღდგენის“ ერთადერთ გზად მიიჩნია ახალგაზრდებთან მუშაობა.

● **პარიზი.** საფრანგეთის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ცნობილი ფეხბურთელის ჟ. ფონტენის საჩივარი სადაზღვევო ორგანიზაციის მიმართ. ეს ორგანიზაცია ვალდებულია ფონტენს გადაუხადოს 700 ათასი ფრანკი 1961 წელს მიღებული ტრავმისთვის.

● **ნეაპოლი.** ო. სივორიმ, რომელიც ახლა დიდი წარმატებით გამოდის „ნაპოლის“ შემადგენლობაში, შეიძლება ითამაშოს იტალიის ნაკრებში მსოფლიო პირველობაზე. იგივე ეხება მის ახლანდელ პარტნიორს ალტაფინისაც.

## ძნელი ამოცანა

### ხელბურთი

მას შემდეგ, რაც ხელბურთელ ვაჟთა მომავალი მსოფლიო პირველობის თექვსმეტივე ფინალისტი გამოირკვა, მოეწყო ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების ნაკრებთა კენჭის ყრა. გუნდები ოთხ ქვეჯგუფად დაიყო. სსრ კავშირის ხელბურთელები მეტისმეტად საშიშ მეტოქეთა გარემოცვაში მოხვდნენ. ესენი არიან მსოფლიოს ჩემპიონი — რუმინეთი, გფრ, აგრეთვე კანადა. დებულებით, ქვეჯგუფებში გამარჯვებული 2-2 გუნდი ნახევარფინალურ ჯგუფებში განაგრძობს ბრძოლას. ამ უფლების მოსაპოვებლად სსრ კავშირის ხელბურთელებმა სამიდან სულ ცოტა 2 მატჩი უნდა მოიგონ. ძნელი ამოცანაა!

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ცხოვრება

**ჭადრაკი.** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). 9 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ბოლო ტური. დასაწყისი 17 ს.

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი). „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 9 აპრილი. დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. „დინამოს“ სტადიონი. 10 აპრილი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05909